



✓*დანართი №4*



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნის პროექტი

ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

[15 აპრილი, 2024]



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: ნინო

გვარი: ჯოჯუა



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	ინგლისური ფილოლოგია / English Philology
2	უმაღლესი განათლების საფეხური	საბაკალავრო
3	კვალიფიკაციის დონე ²	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით ³	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0231 ენის დაუფლება
7	სწავლების ენა	ინგლისური
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი , 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

¹დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

²ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 79814 25/01/2023
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	25 იანვარი, 2023 წელი
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	25 იანვარი, 2024 წელი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	25 იანვარი, 2030 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		✓		
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისსწავლებისშეფასებისადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			
4. სწავლებისრესურსები თუზრუნველყოფა	✓			



5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			
--	---	--	--	--

შესასრულებელი რეკომენდაციები⁶

1. განხორციელდეს ეფექტური ქმედებები ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.
2. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები პროგრამის თოთოეული შედეგისთვის და პროგრამის შედეგების რუკაში აისახოს მიმართება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის.
3. რეკომენდებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებში განახლდეს ძირითადი სასწავლო ლიტერატურა.
4. რეკომენდებულია, პრაქტიკის სასწავლო კურსს განესაზღვროს დაშვების წინაპირობა.
5. პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის და პროგრამაზე დაშვების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და შედეგებთან სინქრონიზაცია, ასევე, პროგრამის წინაპირობებში ზუსტად განისაზღვროს B2 დონის ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი TOEFL და IELTS გამოცდების ქულების ურთიერთშეფარდება.
6. რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს დაზუსტებულ ინფორმაციას პედაგოგიური პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელზე/ხელმძღვანელებზე.
7. განხორციელდეს სასწავლო კურსების - „პროფესიული კომუნიკაცია“ და „პედაგოგიური პრაქტიკა“ სილაბუსების შეფასების მეთოდების კურსის შინაარსსა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.
8. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების ქმედითუნარიანობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის, ხარისხის სამსახურთან და პროგრამის განვითარების ჯგუფთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და კოორდინირებულ საქმიანობას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საანგარიშო პერიოდისთვის შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის ანალიზი მოწმობს, რომ

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების



პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა სრულყოფილად შეასრულა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციიდან უმრავლესობა, ხოლო რაც შეეხება #2 რეკომენდაციას, რომელიც უსდ-ს მიერ ნაწილობრივ შესრულდა, კვლავ საჭიროებს პროგრამის პერსონალის მხრიდან შესრულებას.

რჩევები⁸

1. სასურველია კურსების შედეგებში მოცემული ის კომპონენტები, რომლებიც პასუხობენ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილს იყოს გამიჯნული უნარების კომპონენტად.
2. სასურველია, კვლევითი უნარების განვითარების პროგრამაში არსებული შესაძლებლობის მეტად გამოკვეთა.
3. სასურველია, მოხდეს სხვადასხვა სასწავლო კურსისთვის სწავლის შედეგების შეფასების ფორმების დივერსიფიკაცია.
4. სასურველია, პროგრამის სტუდენტთა კოტინგენტის ზრდასთან შესაბამისად, გაიზარდოს პედაგოგიური პრაქტიკის ობიექტების რაოდენობაც.
5. მოხდეს სტუდენტის ინფორმირება თითოეული კურსისთვის განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ.
6. სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეების ტექნიკური მხარის მოწესრიგება საერთო სტანდარტული ფორმატით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

საანგარიშო პერიოდისთვის, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევების უმრავლესობაც შესრულებულია შპს. საქართველოს უნივერსიტეტის მიერ.

დამატებითი ინფორმაცია¹⁰

პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

⁹საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში



რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება ¹³	1.1 პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I	განხორციელდეს ეფექტური ქმედებები ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.
შეფასება	საანგარიშო პერიოდისთვის რეკომენდაცია შესრულდა; იმდენად, რამდენადაც გამოიკვეთა პროგრამის პერსონალისა და სტუდენტების თანამშრომლობა საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებულ კონფერენციებსა და სხვადასხვა სამეცნიერო პროექტში სტუდენტების ჩართულობის სახით; კერძოდ, , უნივერსიტეტის სრული ფინანსური მხარდაჭერით პროგრამის 11 სტუდენტმა (Asal Ormazdi, Yana Kim, Veronica Obiageli Sarumi, Nima Kalantari, Bolaji Quadri Showole, Oluwadamilola Olamide Ayanbode, Mariam Gvaramia, Lolita Manukova, Sofiya Tartarashvili, Lika Akhlouri, Liana Khozrevanidze) მოხსენებები წარადგინეს SADAB-ის მიერ ორგანიზებულ სამ საერთაშორისო კონფერენციაში; გარდა ამისა, ერთი სტუდენტი იმყოფება საპიენცის უნივერსიტეტში(იტალია) Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში; გარდა ამისა, თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ პროგრამის პერსონალი სრულად მზადაა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებისთვის.
რჩევა ¹⁴ I	N/A
შეფასება	N/A

¹¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹²სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



მტკიცებულებ(ებ)ა	1. სტუდენტთა კვლევით აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები; 2. მოხილობის დამადასტურებელი დოკუმენტები.
------------------	---

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II	განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები პროგრამის თოთოეული შედეგისთვის და პროგრამის შედეგების რუკაში აისახოს მიმართება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის.
შეფასება	თვითშეფასებისა და თანდართული დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდისთვისაა რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია, კერძოდ, უსდ-ს წარმოდგენილი აქვს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელშიც ასახულია პროგრამის 6 მიზანსა და 15 შედეგს შორის შესაბამისობა; მაგალითად, მიზანი 1 „მისცეს ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის კონცეპტუალურ აპარატის, მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლების თავისებურებების, ინგლისური ენის სტრუქტურის, ინგლისური ენის ისტორიული განზომილებებისა დაბრიტანული კულტურის მახასიათებლების, ენას, აზროვნებას, საზოგადოებას, კულტურასა და ლიტერატურას შორის არსებულ მიმართებათა სპეციფიკის, ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის კონცეფციებისა და თეორიების, ლიტერატურული ჟანრების განვითარების თავისებურებების ცოდნა“ (ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა გვ. 1) შეესაბამება შედეგებს „ კურსდამთავრებული იცნობს მსოფლიო ისტორიას, [...] ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის კონცეპტუალურ აპარატს, მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძვლებს“, [...], კურსდამთავრებული აღწერს ენას, აზროვნებას, საზოგადოებას, კულტურასა და ლიტერატურას შორის არსებულ მიმართებათა სპეციფიკას“... და სხვ. თუმცა თანდართულ დოკუმენტაციაში არ იძებნება სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები ცალკე თანდართული დოკუმენტის სახით, როგორც თვითშეფასებაშია მითითებული. უსდ-ს მიერ წარმოდგენილია მხოლოდ შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის რუკა და არა ინფორმაცია იმის შესახებ,



	თუ, მაგალითად, რომელი სასწავლო კურსებისა და შეფასების მეთოდების/კომპონენტების საშუალებით ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება. შესაბამისად, კვლავ საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობა.
რჩევა ¹⁵ II	I - სასურველია კურსების შედეგებში მოცემული ის კომპონენტები, რომლებიც პასუხობენ პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილს იყოს გამოჩენილი უნარების კომპონენტიდან. II - სასურველია, კვლევითი უნარების განვითარების პროგრამაში არსებული შესაძლებლობის მეტად გამოკვეთა.
შეფასება	რჩევა გაზიარებულია , კერძოდ, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა გამოჩენილია უნარების კომპონენტიდან კონკრეტულ სასწავლო სილაბუსებში: აკადემიური წერა ფილოლოგიებისათვის I, აკადემიური წერა ფილოლოგიებისათვის II, ინგლისური ენა და ბრიტანელები, სწავლების მეთოდიკა.
მტკიცებულებ(ებ)ა	1. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. 2. სასწავლო კურსების - აკადემიური წერა ფილოლოგიებისათვის I, აკადემიური წერა ფილოლოგიებისათვის II, ინგლისური ენა და ბრიტანელები, სწავლების მეთოდიკა - სილაბუსები. 3. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია III	რეკომენდებულია, ცალკეულ სასწავლო კურსებში განახლდეს ძირითადი სასწავლო ლიტერატურა.
შეფასება	საანგარიშო პერიოდისთვის რეკომენდაცია შესრულებულია , კერძოდ, კონკრეტულ სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია ბოლო 5 წლის გამოცემები (მაგ., „განათლების ისტორია და ფილოსოფია” და „სტილისტიკა” “2019 წლის Johnson J.S. Problems in Philosophy of Education)2023 წლის Michael, Burke, The Routledge Handbook of Stylistics).

¹⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



რეკომენდაცია IV	რეკომენდებულია, პრაქტიკის სასწავლო კურსს განესაზღვროს დაშვების წინაპირობა.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა. პედაგოგიურ პრაქტიკის წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი „ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა“.
რჩევა ¹⁶ II	სასურველია, მოხდეს სხვადასხვა სასწავლო კურსისთვის სწავლის შედეგების შეფასების ფორმების დივერსიფიკაცია.
შეფასება	უსდ-ს მიერ მოწოდებული „სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის სასწავლო პროცესით კმაყოფილების კვლევის ანგარიშის“ მიხედვით, სტუდენტებიც (გამოკითხული 50) და აკადემიური პერსონალიც (გამოკითხული 19) დადებითად აფასებენ პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო კურსების შედეგების შეფასების ფორმებს.
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსების - „განათლების ისტორია და ფილოსოფია“, „სტილისტიკა“ და „პედაგოგიური პრაქტიკა“ - სილაბუსები. აკადემიური პერსონალის კვლევის ანგარიში. სტუდენტთა სასწავლო პროცესით კმაყოფილების კვლევის ანგარიში.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია V	პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის და პროგრამაზე დაშვების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და შედეგებთან სინქრონიზაცია, ასევე, პროგრამის წინაპირობებში ზუსტად განისაზღვროს B2 დონის ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი TOEFL და IELTS გამოცდების ქულების ურთიერთშეფარდება
შეფასება	რეკომენდაცია შესრულდა, კერძოდ, პროგრამაში დაზუსტდა B2 დონის ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი TOEFL და IELTS გამოცდების ქულების ურთიერთშეფარდება მინიმალური ზღვრის მითითებით (TOEFL – 72; IELTS – 6 ქულა). იმ სტუდენტებისთვის, ვისაც არ აქვს აღნიშნული

¹⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	სერთიფიკატი უსდ-ს განსაზღვრული აქვს მინიმალური ბარიერი შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე -60%, რაც, ვფიქრობთ, შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და უზრუნველყოფს შედეგების მიღწევადობას.
რჩევა ¹⁷ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VI	რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს დაზუსტებულ ინფორმაციას პედაგოგიური პრაქტიკის კურსის ხელმძღვანელზე/ხელმძღვანელებზე.
შეფასება	როგორც თავდაპირველი დასკვნისა და თვითშეფასების ანალიზით ირკვევა, რეკომენდაციის საფუძველი გახდა სილაბუსში არსებული ტექნიკური ხარვეზი კურსის ავტორთან დაკავშირებით, თუმცა ამჟამინდელი მდგომარეობით პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსში მითითებულია ორივე ავტორი: „ საგნის კურატორ(ებ)ი : დუნდუა შალვა , ტაბატაძე რევაზ ელ. ფოსტა: sha.dundua@ug.edu.ge revaz.tabatadze@ug.edu “ (პედაგოგიური პრაქტიკის სილაბუსი, გვ. 1); შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ¹⁸ II	სასურველია, პროგრამის სტუდენტთა კოტინგენტის ზრდასთან შესაბამისად, გაიზარდოს პედაგოგიური პრაქტიკის ობიექტების რაოდენობაც.
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	1. სასწავლო კურსის - პედაგოგიური პრაქტიკა - სილაბუსი. 2. დამატებითი მემორანდუმები.

¹⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია VII	განხორციელდეს სასწავლო კურსების - „პროფესიული კომუნიკაცია“ და „პედაგოგიური პრაქტიკა“ სილაბუსების შეფასების მეთოდების კურსის შინაარსსა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია პროგრამის პერსონალის მიერ; კერძოდ, სასწავლო კურსის „პროფესიული კომუნიკაცია“ შუალედური გამოცდის კომპონენტი - ზეპირმეტყველება თავსებადია კურსის შინაარსსა და სპეციფიკასთან. მოდიფიცირებულ სილაბუსში შეფასების ფორმად აღარ ფიგურირებს თარგმანი, რაც გახდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი; ასევე, სასწავლო კურსში „პედაგოგიური პრაქტიკა“ შეფასების კომპონენტებიდან ამოღებულია ქვიზი ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, რადგანაც აღნიშნული კურსი არ ითვალისწინებს ქვიზების შესრულებას. ახალ სილაბუსში შეფასების კომპონენტები კურსის სპეციფიკის ადეკვატურია (მაგალითად, ფინალურ გამოცდაზე ფასდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა სტუდენტის პედაგოგიური პრაქტიკის დღიური ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გაკვეთილების გეგმები და მასალები, სასკოლო ღონისძიებებისათვის მომზადებული მასალები და სხვ.)
რჩევა ¹⁹ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსების - პროფესიული კომუნიკაცია და პედაგოგიური პრაქტიკა - სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
რეკომენდაცია II ²⁰	N/A
შეფასება	N/A

¹⁹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁰საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



რჩევა ²¹ II	მოხდეს სტუდენტის ინფორმირება თითოეული კურსისთვის განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ.
შეფასება	უსდ-ს მიერ მოწოდებული ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის საკონსულტაციო საათების განრიგის მიხედვით, პროგრამის აკად. მოწვეული და ასისტენტ. პროფესორების საკონსულტაციო საათები და დღეები დაზუსტებულია და ხელმისაწვდომია საინფორმაციო დაფაზე. შესაბამისად, რჩევა გაზიარებულია.
მტკიცებულებ(ებ)ა	ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის საკონსულტაციო საათების განრიგი.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1 ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია II ²²	N/A
შეფასება	N/A
რჩევა ²³ II	სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეების ტექნიკური მხარის მოწესრიგება საერთო სტანდარტული ფორმატით.
შეფასება	ექსპერტთა თავდაპირველ დასკვნაში მითითებული ტექნიკური ხარვეზი პერსონალის პირადი საქმეების კუთხით, კერძოდ, უზუსტობა სამეცნიერო აქტივობის დასადასტურებლად რეზიუმეების ინგლისურ და ქართულ ვერსიებში სხვადასხვა თარიღის მითითების შესახებ ჩასწორებულია; შესაბამისად, რჩევა გაზიარებულია.
მტკიცებულებ(ებ)ა	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმის ნიმუშები (მაია ჩხეიძე, რევაზ ტაბატაძე).

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1. შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VIII	რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზმების

²¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²²საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²³საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	ქმედითუნარიანობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის, ხარისხის სამსახურთან და პროგრამის განვითარების ჯგუფთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას და კოორდინირებულ საქმიანობას.
შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის თავდაპირველ დასკვნაში აღწერილია შემდეგი გარემოება: „ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა აკადემიური/მოწვეული პერსონალის აპერსონალის არაინფორმირებულობა პროგრამაში და მათ შორის მათივე საავტორო სილაბუსებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. რიგ შემთხვევებში აკადემიური პერსონალი არ ეთანხმება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსსა და სტრუქტურას (მაგ. შეფასების სისტემას, მითითებულ ძირითად სასწავლო მასალას, შეფასების მეთოდებს...)“ (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. გვ. 57), რაც მოცემული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა. პასუხად, საანგარიშო პერიოდისთვის უსდ-მ წარმოადგინა 2021-2023 წლებში ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიული სამსახურის მიერ ორგანიზებულ 4 ტრენინგსა და ღონისძიებაში პროგრამის პერსონალის მონაწილეობის დამადასტურებელი ანგარიშები, რის საფუძველზეც დასტურდება პროგრამის პერსონალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სისტემატიური თანამშრომლობა; შესაბამისად, ვთვლით, რომ აღნიშნული რეკომენდაციაც შესრულებულია.
რჩევა ²⁴ II	N/A
შეფასება	N/A
მტკიცებულებ(ებ)ა	ანგარიშები ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიული სამსახურის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ.

თანდართული დოკუმენტაცია²⁵

- აკადემიური პერსონალის კვლევის ანგარიში (5 გვერდი).
- დამატებითი მემორანდუმები (შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ და შპს „აისი“ – 2 გვერდი / შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ და შპს „ევროპული სკოლა“ - 2 გვერდი).

²⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁵თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა



3. ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის საკონსულტაციო საათების განრიგი (2 გვერდი).
4. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა (ქართული ვერსია - 5 გვერდი; ინგლისური ვერსია - 5 გვერდი).
5. მობილობის დამადასტურებელი დოკუმენტები (2 გვერდი).
6. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმის ნუმიშები (მაია ჩხეიძე (9 გვერდი), რევაზ ტაბატაძე (9 გვერდი)).
7. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (6 გვერდი).
8. სასწავლო კურსების - „აკადემიური წერა ფილოლოგებისათვის I“ (ქართული ვერსია - 7 გვერდი / ინგლისური ვერსია - 7 გვერდი), „აკადემიური წერა ფილოლოგებისათვის II“ (ქართული ვერსია - 7 გვერდი / ინგლისური ვერსია - 7 გვერდი), „ინგლისური ენა და ბრიტანელები“ (ქართული ვერსია - 10 გვერდი / ინგლისური ვერსია - 10 გვერდი), „განათლების ისტორია და ფილოსოფია“ (ქართული ვერსია - 7 გვერდი / ინგლისური ვერსია - 6 გვერდი), „სტილისტიკა“ (ქართული ვერსია - 12 გვერდი / ინგლისური ვერსია - 10 გვერდი), „პედაგოგიური პრაქტიკა“ (ქართული ვერსია - 10 გვერდი / ინგლისური ვერსია - 9 გვერდი), „სწავლების მეთოდები“ (ქართული ვერსია - 7 გვერდი / ინგლისური ვერსია - 7 გვერდი), „პროფესიული კომუნიკაცია I“ (ქართული ვერსია - 7 გვერდი / ინგლისური ვერსია - 7 გვერდი), „პროფესიული კომუნიკაცია II“ (ქართული ვერსია - 8 გვერდი / ინგლისური ვერსია - 8 გვერდი), - სილაბუსები.
9. სტუდენტთა კვლევით აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები (დოკუმენტი # 1 - 10th International Conference on Social Researches – 147 გვერდი; დოკუმენტი # 2 - 11th International Conference on Social Research – 488 გვერდი).
10. სტუდენტთა სასწავლო პროცესით კმაყოფილების კვლევის ანგარიში (4 გვერდი).
11. ანგარიშები ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიული სამსახურის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ (ანგარიში 1 – 2 გვერდი; ანგარიში 2 – 2 გვერდი; ანგარიში 3 – 2 გვერდი; ანგარიში 4 – 2 გვერდი).

ექსპერტის ხელმოწერა